

სასოფლო-სამეურნეო გაზეთი



გაზეთის ფასი:

მაგზავნით ტფილისში	მაგზავნელათ:
და გარეშე ადგილებში:	მან.
პირთის წლისა — 4 მან.	— 3
ნახევრის წლისა — 3 —	— 2
სამის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით.

ბელის-მაოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო-სამეურნეო“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ თ. ბებუთიის სახლში; პოლიციის გვერდით. ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, СЕЛЬСКОЙ ГАЗЕ-ТЫ“ при типографіи Мелікоиа и К^о.

შველ გვარი განცხადებანი სასოფლო-სამეურნეო საქმეებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში.

№ 9. შაბათი.

III.

23 მაისი, 1870 წ.

შინაარსი:

მამასახლისის საქციელი. — შინაგანი ცნობები. — სამეცნიერო ნაწილი: — რა არის სხეული, სერი და პერგვარი? — საექიმო ნაწილი: — წითელა-რუსეთის ამბები: — სმოლენსკის სამეურნეო საზოგადოების მოქმედება. — მატყლის სარეცხი ხარკოვნი. — რომინსკის სამეურნეო საზოგადოება. — შტრო ქვეყნის ამბები: — მატყლით ვაჭრობა. — სახაზინო განცხადება.

მამასახლისის სამსიელი.

გაზეთის წამოკითხველსა ვთხოვ, რაც აქა სწერია კარგათ წაითხზოს, სხვებსაც წაითხზოს და უამბოს.

ახალი კანონი რომ დაწესდა მამასახლისის და სუღიების ამორჩევისთვის, ეს კანონი იმით დაწესდა, რომ სოფელმა კარგი სანდო კაცები ამოარჩიოს. სუღია ამ საქმეში დაუდევრობა. შევლამ უნდა იფიქროს, სინიდი-სიანათ და სიფრთხილით უნდა ამოარჩიოს სუღიებიც და მამასახლისებიც. ამაზე ერთხელაცა გეტქონდა ლაპარაკი.

მაგრამ ზოგ-ზოგან კარგი მოხელეები კიდევ ვერ ამოურჩევიათ, ამისათვის ერთ ამბავს შეგატყობინებთ.

მხლა ეს ხომ ყველამ ვიცით, პურის თაობაზე რა გაჭირებაა. ამისთანა გაჭირებაში სოფელში ყველა ერთმანერთს უნდა ეწეოდეს და შეელოდეს. მეტადრე მამასახლისი ამ საქმეში ძალიან უნდა თავგამოდებული იყოს. ახეტში ერთი სოფელია შ. . . . ამ სოფლის მამასახლისი, აი, რა ნაირათ ეწევა თურმე სოფელსა. როცა დრო იყო, მაშინ ნაჩაღ-

ნიკისთვის ქაღალი გაუგზავნია, რომ ქ. . . ს გლეხებს არ ეჭირებათ პურიო. მხლა როცა გაჭირებაში ხალხი, ეს მამასახლისი ერთ კაცთან მივა და ეტყვის რომ „ვიცი ფული გაქვსო და გლეხებს ასესხეო. სარგებელს მოვაცემინებ თუმანზე ათს შაურსაო, ან თუმანზე ოთხ თევში ორ კოდ ნახევარს პურსაო. თქვენ მარტო ფული მამეცითო და სხვა ფიქრი ნუ გაქეთო. თუ ვინმე ვალს დროზე, თავის ვადაზე არ გადაიხდის, მაშინვე ბარათებს სულში შევიტანო, სუღი ხელში მიჭირავსო. პირობა კი ეს იყოსო, რომ ნახევარი სარგებელი შენაო და ნახევარი მეო.“

ბა ახლა, მკითხველო, გაიგე, ეს რა საქმეა? ეს კაცი სოფლის შემწვეველია, თუ სოფლის მტერია. ეს საქმე ძალიან საქმეა. მღეხებს მამასახლისი იმითაო ჰყავთ, რომ იმათი მფარველი იყოს და აქ მამასახლისი დახე რაებს ჩადის. ეს ჩვენ ერთი ამბავი ვიცით; ვინ იცის, რამდენი ამისთანა საქმეები უქნია.

სოფლის გლეხებს თვალი ღია უნდა ჰქონდეთ, როცა ამორჩევის დროა. მამასახლისის და სუღიების ყოფა-ქცევასაც უნდა ყურს უგდებდეს, კანონიც ამას თხოულობს, თორემ რასა ჰგავს? შინ იცის რამდენი კაცი ჩაეარდა ვალში ამ შ. . . . ს მამასახლისისაგან? შინ იცის რამდენი გლეხი მოატყუა?

ამასთან ისიც რა კვებნა მამასახლისისა, რომ ამბობს სუღიები ხელში მყვანაო. კანონით მამასახლისის ნება არა აქვს სუღის საქმეში გაერიოს. როცა სუღიები საქმეს გადასწვეტენ, ის გადაწყვეტილების ბძანება უნ-

და ასარულოს მამასახლისმა, თორემ უფი-სოთ მამასახლისი სამართლის დროს ჩუმათ უნდა იყოს და თავისთვის იჯდეს, როგორც სხვები. სამართლის გაჩენა მარტო სუღიების საქმეა.

შ. . . . ს მამასახლისის ამბავი რომ ყველა დაწერილებით ვიცოდეთ, ყველას დაეწერდით. იქნება ამისთანა მამასახლისები სხვაგანაც იყვნენ. ჩვენ ვთხოვთ ყველას, ვისაც შეუძლია, იმათი გარემოება შეგეტყუბინონ. ეს კარგი იქნება, იმისთვის რომ ჩვენი სოფლის ხალხი გაეფრთხილოთ ამ გვარი კაცებისაგან.

ამაზე შემდეგაც მოვილაპარაკებთ.

შინაგანი ცნობები.

ჩვენ შეეიტყეთ ორი შესანიშნავი ამბავი, რომელიც ყურადღების მიქცევის ღირსია. მართოდღის მამულის პატრონს ძალიან სიხარბე მორეგია და მამულების გაცემა მხოლოდ იმ პირობით მოუწოდებია, რომ მოსაგელის ნახევარი გლეხებმა იმას მისცენ. მღეხები, რასაკვირველია, ისე ბრუყები არ გამოსულან, როგორც მამულის პატრონსა ჰგონებია და ერთ პირათ უფარი უთქვამთ: შენ შენთვის ბძანდებოდე შენის მამულით, ჩვენ ჩვენთვისაო. ღარჩენილა ჩვენი მამულის პატრონი თავისი მამულით ერთი წელიწადი. წილიწადაც გაუვლია, თქვენმა მზებ, გლეხებს ყურიც არ გაუბერტყიათ. მამულის პატრონი უყურებს, დრო მიდის, მერეო წელიწადიც დადგა. თქვენ

არ მომიკედეთ, გლახები ხმას არ იღებენ. მაჟურა ჩენს მამულის პატრონს, კაცები შეუყუცა გლახებს და ძლიერ-ძლიოობით მოირიგა. მეტი ღონე აღარა ჰქონდა, იმას სიტყვას უნდა დაჰყოლოდა.

*

მეორე შემთხვევა უფრო უკეთესია ამაზე. ერთმა ტყის პატრონმა დიდი ბაყი დააღდა და გლახებს არ მოუირიგა. გლახები ერთ პირად გამოემშვიდობნენ და სხვა საფლას ტყის პატრონს მოუირიგდნენ. მადის ერთი ორი წელიწადი, ტყის პატრონს ტყიდან შემოსავალი არა აქვს, რა ქნას მეტი ღონე არა აქვს, უნდა დააკლოს ბაყი. ბაყი დააკლო და ის ფასი დასდეს რასაც გლახები ეუბნებოდნენ ორის წლის წინათ. მაგრამ, დახე ტყის პატრონის უხედურებას! მუხრი არაინ გაიბერტყა, გლახები ეუბნებიან: „შენ შენთვის ბანადებოდე შენის ტყით, ჩვენ ჩვენთვისა“. ბა აქ მოდის ის ანდაზა, რომ დღევანდელი კვერცხი გერჩინოს ხვალინდელ ქათმასაო.

*

ბი ამ გეარათ ირჯებინ ზოგიერთი მამულის პატრონები. თავიანთის დაჩეველ უშრომოდ ცხოვრებით რომ ევრა მოუპოვებიათ, სხვის გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩადებებით უნდა გაიკეთონ ყოფი-ცხოვრება. ამისთანა კაცებსა ჰგონათ, რომ გლახებს კი ჰქუთ არა აქვთ და თითქმის მზათ იყენენ ხელმოკრეთ ყმობაში ჩავარდნენ. ნათქვამია „გაჭირება მიჩენენო, მე გაქცევის ვიჩენებო;“ ვინც უსენინდისობით საქმის დაჭერას აპირებს სხვებთან, ამისთანა კაცი არ უნდა იფიქვებდეს, რომ სხვებიც თავის თავის სიკეთეს ეძებენ და ულაღად და დღეს იქნება თუ ხვალ ერთ გზას იპოვიან. („ღროება“ № 20).

*

მუთისიდან გვეყრენ, რომ დ ხო ნ შ ი გიორგობა დღეს, 23 აპრილს, გაუხსნით ორკლასიანი სასწავლებელი. მ-ხსნისა თანავე შკოლაში ორმოც შვირდზე მეტი ამოჩენილან სწავლის მსურველები. მურადლების ღირსი ამ საქმეში ის არის, რომ შკოლის გახსნა და იმისთვის საშუალების მიცემა თეთრონ ხონის მცხოვრებლებში უთავსიათ. როგორც კორჩესპონდენტი გვეყრს, ხონი თავის ხარჯით აშენებს შკოლისთვის სახლს და ამას გარდა იმისთვის შეუწირავს საკლავისა და საწონის შემოსავალი. კორჩესპონდენტი არ გეაცნობებს--

მიიღებენ ამ შკოლაში გლახკაცების შვილებს, თუ მართო თავად-აზნაურების შვილებისთვის არის ის დაფუნდებული. საფექრებელია კი, რომ, რადგანაც შკოლა დაბის ხარჯით არის გამართული, ყველა ამ დაბის მცხოვრებთ ექნებათ უფლება ისარგებლონ იმათი. თუნდაც რომ მართო თავად-აზნაურების ხარჯით იყოს გამართული შკოლა, ჩენი აზრით, რიგია და ორივეს თავად-აზნაურებისა და გლახ-კაცების--სარგებლობა მოითხოვს, რომ ამ უკანასკნელებს არ ექნეს დაზუსტული შკოლის კარები.

*

ჩენი შევიტყუო, რომ სოფ. ს ა ჩ ხ ე რ ე ს, საცა კეთილშობილები აგრეთვე თავის ხარჯით მართვენ შკოლს, არ აპირებენ გლახების მიღებას შკოლაში. „მამოურული ყაძახის შვილს ჩემი შვილი როგორ ამოუქუცა გვერდითო? იძახის თურმე იქაური თავად-აზნაურობა. ღმერთმანი, დროა დაენებოთ თავი ამისთანა ხეზრეულ ამპარტანობას და შთამომავლობით ტრაპანობასა. რით ვერ გავიგეთ ამდენი ხანი, რომ მართო თავადის და აზნაურის შვილობა კაცს რაერთარ ღირსებას არ აძლევს!?!...“

*

თბილისში პური ისევე იყვანება, როგორც ამ სამი კვირის წინათ იყო, ესე იგი ფუფუნი შეიღებავს უზალთუნათ ძავეკისა, შეიღებავს ერთ შაურათ დაბალი და კარგი თეთრი რვა ამაზათ; გამომსხვარი შვი, დაბალი პური ამაზათ ექვსი, გირიანქა, თეთრი ხუთი გირიანქა. პურს ფასი ისევე ადევს, არც ემატება, არც აკლდება.

შალაქის ახლო სოფლებიდან, გლახები ჩამოდიან ქალაქში გამომსხვარი პურის სასყიდლოთა, რადგანაც იმდენი ფული არა აქვთ ხელთ, რომ ფქვილი თითო ფუთობით მაინც იყიდონ. ამ გარემოებაშია მაგალთად სოფელი ძუმისი.

მართლისაკენ კოდი ფასობს ხუთ მანეთათ. ზოგიერთ ადგილს იქაური კოდი ქალაქის კოდაზევირად გამოდის ესე იგი სამი ფუთი და 15 გირიანქა. მუთი ამ გეარათ ჯდება შეიღებაზე მეტათ. მაგრამ მაინც, ამოვბენ, მართლში ისეთი გაჭირება არ არის სო, როგორც მინიეში და შალაქის ახლო-მახლო სოფლებში. ამ გაჭირებისაგან გაიყოფნია პურის მალახივს. სოფლის მარეთის გლახი კაცი ლაპარაკობდა, რომ პურის

მალაზია ძალიან გამოგვადგო. ჩენი სოფლიდან გართო კაცი არ გასულა. პური რომ დაძვირდა, სოფელი შევიკრება და გადასწყვიტა, მალაზიიდან მივცეს პური ვისაც არა აქვს; შეძლებულს არ მივცეს, რადგან გაჭირებაში არ არისო.

* *

იმევე სოფელ მრეთში არის შკოლა, რომელშიაც სწავლობს სამოცი ემაწვილი. ამ სოფელში ას ორმოცდა ათ კომლამდის იქნება.

(„ღროება“ № 19.)

რა არის სხეული, ჰაერი და ჰაერგზარი.

ახლა ჩენ ისევე იმას დაუბრუნდეთ, რაც მიწაზე გაჩენილია, — უკეთ ვიქვით—მიწის ბუნებას.

* *

შაველს ნივთს ალაგი უჭირავს. — რაც უნდა პაწაწა ნივთი იყოს, თუნდ ერთი თვალში ჩაეარდნაცა თავის ზომბა-ალაგი მაინც აქვს დაკეცული და რადგან ალაგი უჭირავს; ამისთვის სწავლულები ყველა ამისთანა ნივთებს ეძახიან „ს ხ ე უ ლ ს“. მაშ, კაცს ცხენს, ფინიველს, ხეს, ქვას, წყალს, ანუ გაშინჯე პაწაწა-იტელა ნივთს და ბუსუსსაც „ბუნების ს ხ ე უ ლ ე ბ ი“ ჰქვია. ორი ნივთი ან ორი სხეული ერთსა და იმევე ადგილს ერთ დროს ვერ დაიჭერს. ორს ნივთს უეჭველათ ორი ცალკე ალაგი უნდა: თითოს—თავ-თავი სი. მისმე რომ მოუნდეს ქვის დაღება იქ, საცა ხე ძვეს, რამდენიც უნდა ატრილოს, მაინც ვერ მოახერხებს, და თუ მაინცა და მაინც იმ ალაგას ჰურის ქვის დაღდება, ჯერ უეჭველთ ხე უნდა გასწოოს იქით და მერქვე დააგდოს. ეს ყველამ ვიცით და აღარც ღირს ამაზე მეტი ლაპარაკი. მაგრამ ხესა და ქვას რათ ეფახით სხეულს, როცა ვიცით, რომ სხეული მართო კაცს და ცხოველსა აქვს. ბრათა.—ძვასაც, ხესაც და პურის კაკალსა; უჭირავს ალაგი სიგძით, სიგანით და სიმსხოთი; კაციც აგრეთვე სიგძით, სიგანით და სიმსხოთითა ალაგზე გაზოადელი. ჩრდილი რომ აეღოთ, ის ჩრდილი რომელიც დაეფინება მისზე ხისაგან და კაცისგან, როცა ერთის მხრით მზე მისდგომია, — ეს ულ სხეა იქნება; აროცა სარკმელში მზე შემონათობს და ოტახზე ან ექველზე ნათელი ბურთი მოდგება.



მაშინ ჩვენ ვხედავთ, რომ თითქმის ამ ჩრდილ-საც და ნათელ ბურთსაც ალაგი უჭირავთ, მაგრამ სხეულს მაინც ვერ დაუძახებთ იმით, ამიტომ რომ სისხლი არა აქვთ, არც ხორც შებამულნი არიან, არც წყალს გვანან, არც მაგარს ნივთსა, არც კომლსა, ან ომხი-ვარს. **ჰოვლო** სხეულს თავისი შედგენი-ლო ბა აქვს, თავისებურათ არის აგებული და მოკვანილი. ჩრდილი, ნათელი და სით-ბო, ესენი არიან ნივთები, რომელთაც არც ხორცი აქვთ, არც სხეული; ისინი არიან უ-სხეულონი, იმათ არც სიმძიმე აქვთ, არც ა-წონებიან, და ამისთვის არც სხეული აქვთ.

* *

მსლა კი მივხვდით, სხეული რა არის. მა-გრამ ესეც უნდა ვეცოდეთ, რომ ჩვენი დე-და მიწაზე ოდნა ალაგიც არ იბოვება ცა-რიელი. **ჰოველი** ალაგი რამე სხეულს უჭირავს უსათუოდ.—რას ამბობთ? მეტყე-ვის ზოგიერთი, ცარიელი ალაგი როგორ არ არის? იმდენს გიჩვენებთ, რომ, მგო-ნია, ვერც კი დასთვალთ.—მა ისე გიჩვენებთ რომ ცარიელი ალაგებია, მაგრამ, საცა თქვენ ცარიელები მგონათ, იქ ყველგან ერთ წაირი წმინდა და გამსჭვებრი სხეულია. **გამ-სჭვებრი** იმისთანა სხეულს ვეცხვით, რომელ-შიაც სინათლე გადის, მაგალითად, მინა შუ-შა და სხე. ზევით რომ სხეული ეთქვით, ისეთი წმინდაა; რომ თვალთ ვერ ვხედავთ. ამ უხილავმა სხეულმა დაიჭირა ბუნებაში ყვე-ლა ცარიელი ალაგები.

* *

როდესაც კარგათ გაიცნვენ ეს უხილავი სხეული, იმას დაარქვენ ჰაერო. მაშინვე შეიტყუებს, რომ ეს ჰაერი მიწას პერანგსავით ჩასცდება, ისე როგორც აბაში თავის ქინ-ქლშია (ბუშბუშში) გახვეული. ჰაერი გარშე-ზოდგომია და გავლამია ყველაფერს, რაც მაწაზე და წყალშია, ისე როგორც წყალი აქვს გარშემორტყმული ყოვლის ფერს, რაც იმაში იმყოფება. ძატი ცხოვრობს და ინძრე-ვა ჰაერში იმავე გვარათ, როგორც თევზი წყალში, მაგრამ თევზი წყალს ჰხედავს და ჩვენ კი ჰაერს ვერ ვხედავთ; ამისთვის რომ ის წყალზე ბევრათ უფრო თხელი და წმი-დაა. მაგრამ როცა ჰაერი გასქელდება, მაშინ იმასაც დაინახავთ. მაგალითად თვალ-გადა-უწყვენელს მინდორზე ან ქალაში, საცა ჰა-ერი ბევრია, იმას აქვს ლურჯი ფერი. ამი-

ტომაც შორს მთებს რომ ვხედავთ, ისინი ლურჯათ გვეჩვენებიან და თუ კიდევ უფ-რო შორს არიან, მაშინ შეათაც დაგვენ-ხებიან. **აი**, იმისგანა აქვს ცას დღისით ლურჯი ფერი და ღამით რკინის ფერი. ჩვენ რომ ცას ვხედავთ, ეს ჰაერის კამარა არის, სხვა კი არაფერი; მაგრამ რადგან ძალიან გა-სქელებულია, ამიტომაც ლურჯი, ან ლაქ-ვარდის ფერი აქვს. მაგალითად ერთს ფანჯ-რის მინას ფერი სულ არა აქვს, მაგ-რამ როცა ასი და ასზე მეტი მინა ერთ-მან-თხვა დაწყობილი, მაშინ იმას მწვანე ბა-ლახის ფერი აქვს და შიგ თუ ვახედე, რასაც ვხედავ, ყველას მწვანე ბალახის ფერი დე-დება—და იმდენათ უფრო მწვანე მოგვეჩვენ-ება, რამდენათაც უფრო ბევრი მინებია ერთ-მანეთზე დაწყობილი; ჰაერიც ასეა.

* *

რა უყოთ, რომ ჰაერს არ ვხედავთ, ისე როგორც თევზი წყალს, რომელშიც ცხოვ-რობს; ამის მაგიერათ ჩვენ ვიცით როგორ ინძრევა ჰაერი და ძალა-უნებურათ ანძრევის ყოველფერს, რაც მიწაზე იმყოფება. მთებში ქუხილს უმძღვე ხომ გინახავს, როგორ ღრი-ალებს ხევის წყლები; რაც წინ ხედებთ: ხე, ჯაგი, ფიჩხი, ყველას ამზღვეს და თან მი-აქვს, ევება ქვის ლოდებს ისე აბრუნებს თა-თქმას ნაფოტებს; ჰაერიც სწორედ ამ ნაი-რათ იქცევა; როცა ძალიან ნძრევას დაიწყებს. მაშინ იმას ჩვენ ვეცხვით „ქარს“. **თი-**თონ ქარს ვერ ვხედავთ, მაგრამ ვგრძობთ, როგორ უწყალოთ გვეცემს პირში, აუარებელს მტერს ხეცვას ქუხებიდან და მიაქვს გუნდ-გუნდათ, სახლებს ჰხდის სახურავებს და იქით ისერის, ლეწავს და გლეჯს ღობეებს, ძირიან-თ თხრის და აქცევს უზარმაზარს მუხის ხე-ებს. მაშინ ქარი ყოფილა ჩქარიმავალი ჰაერი ერთი მხრიდან მეორეზე, როგორც ხევი ან მდინარე ჩქარი მავალი წყალია ერთი ადგი-ლიდან მეორე ადგილს. მაშინ არ უწყესდებათ, ქარს რომ განიერი ჰაერის მდინარე დავარ-ქვით. მართალია ეს მდინარე ზოგჯერ ბევრს ზარალს აძლევს კაცს, მაგრამ ზოგჯერ ბევრს სარგებლობასაც. ჩვენ ვერ ვნიშნავთ, მაგრამ იმას თან მიაქვს ყოველი ცული ჰაერი, იმ ალაგებიდან, საცა ბევრი ხალხია და საცა ჰა-ერი ავსებულია ყოველი გვარი სიმყარით და მანებელი სუნით; ამის მაგიერათ ქარს

მინდვებიდან და მთებიდან მოაქვს წინდა და გამაცოცხლებელი ჰაერი.

* *

როგორც დაცემულს, ჩაფარდნილს ადგილებ-ში და ქაობებში დგება წყალი, ისე სარდაფებ-ში, ვიწრო მიხვეულ მოხვეულ ქალაქის ქუ-ჩებში და მუღამ ფანჯრებ დახურულს ოთახებ-ში დგება ჰაერი. **დამდგარს**, აუროლებულს წყალს მხოლოდ მაშინ ხმარობენ სასმელათ, როცა წმინდა წყალი არსად მოიძებნება და წყურვილისაგან იხრჩობიან. **შბრლო** უსწაე-ლელმა კაცებმაც კი იციან, რომ ეს წყალი ძალიან მანებელია ტანის სიმართლისთვის და უფთხადლებიან; მ გრამ დამდგარს წამს-დარს ჰაერს კი ვერ ხედავთ და უზრუნველთ სუნთქვენ იმითი, თუცა წამსდარი ჰაერი აუ-როლებულს წყალზეცა უფრო აენებს კაცს; ამიტომ რომ ცუდას წყალს დღეში სამჯერ, ოთხჯერ თუ დღეც კაცი მეტათ არა, და წამსდარს ჰაერს ერთს მინუტში ოცჯერ მა-ინც ჩაისუნთქებს.

* *

რა მიწას ჰაერი გარშემო არტყია ქერ-ქივით, იმას სწავლულები ეძახიან „ატმოსფერო“. **მს** სიტყვა ბერძნულია და ჰნიშნავს ჰაერის სახვევს მიწის გარშემო. **მაშ** „ატმოსფერო“ ისეთი რგვალია, როგორც თვითონ მიწა. ჩვენ ჰაერს მეცნიერები უძახიან ატმოსფერის ჰაერს, იმისთვის რომ განაჩირონ სხვა ჰაერე-ბისგან, რომელნიც ბევრნი იბოვებიან დედა-მიწაზე და იმის შიგნით. მსენი მხოლოდ იმი-თი ჰგვან ჩვეს ჰაერს, რომ თითქმის იმ ნა-ირათვე წმინდანი და გამსჭვებრი არიან, მაგ-რამ სხვაფერი კი ბევრით განიჩივებიან. **წმინ-**და არაყიც ხომ ერთი შეხედვით წყალსა ჰგავს, მაგრამ როცა პირში ჩაიკარებ, მაშინ დარ-წმუნდები, რომ სულ სხვაა. ამისთანა სხვა ნაირი ჰაერი ბევრია დღემიწაზე და ვერც ერთში კაცი ვერ გასძლებს. მინიციობა კაცს რომ შეემთხვებს ამ სხვა ჰაერში ფშვინვა, მა-შინვე დაიხრჩობა. **ის** კი არა, როცა ჰაერში შერეულია ამ სხვა ჰაერის ნაწილები, მაშინ-ც არ უშუძლიან კაცს იმითი დიდხანს ისუნთ-ქოს და იწამლება. ამისთანა ჰაერებს სწავლუ-ლები ეძახიან გაზებსა. ჩვენ დავუძახით ჰაერ გვარო. **ამ** ორ სახელში მკითხველმა ის დაიხსოვოს, რომელიც უფრო ეადილება. **თუნდ** ავიღოთ ნახშირის ჰაერ გვარი, რომელიც ლურჯ-ალოთ ადის ნაკერცხლებზე,

როცა შეშა დაიწვის. ამ ნახშირის ჰაერგვარსაც, როგორც ჰაერს, ისე ვერ ვხედავთ, მაგრამ ჰაერს რომ შეერიოს და კაცმა შიგ სამიოთხი საათი ისუნთქოს, მაშინვე ფეხებს გაქიმავს: იმ წამს თავი ასტკივდება, პირიდან ასაქმებს და თუ მალე არ მიეშველა კაცი და წმინდა ჰაერზე არ გამოიყვანა, კიდევ მოკვდება.

* *

ჰაერზე და ჰაერგვარებზე ბევრი საკვირველი ამბები შეგვეძლო გველაპარაკან; მაგრამ ამ ჟამად რაც ვილაპარაკეთ, ესეც საკმაოა ჰაერისა და გ ა ზ ი ა ნ ჰ ა ე რ გ ვ ა რ ი ს გასარჩევად ერთმანეთისგან. რაც ქვეყანაზე ცარიელი ადგილებია, მართლა ცარიელები კი არ არიან; ისინი გაესებულნი არიან ან ჰაერით, ან რომელიმე ჰ ა ე რ გ ვ ა რ ი თ.

* *

ცარიელი ბოთლი რომ თავდაღმა ჩაედვით წყალში და ამნაირათ გვიწოდებს იმისი წყლით გაესება, რაც უნდა ბევრი ხანი გვეჭიროს ასე, მაიკ წვეთი წყალი არ შევა შიგ. ეს ამისთვის, რომ ბოთლი ჰაერით არის პირამდის გავსებული. ჰაერი არ უშვებს წყალს, და თვითონ იმას კი გამოასახელებს გზა არა აქვს: ვერც ბოთლის ძირში, ვერც გვერდებში ვერ გადის; ერთი გზა აქვს, თვითგან გამოვიდეს, მაგრამ რადგან ჰაერი ბევრათ უფრო მსუბუქია წყალზე, ამისთვის ძირს ვერ ჩამოვა, რომ წყალს გზა უტოლოს ბოთლიში შესასვლელად. ბოთლი რომ ზეთით გაავსო და თავდაღმით წყალში ჩაღვა, წვეთიც არ გამოვა ბოთლიდან, რადგან ზეთი წყალზე უფრო მსუბუქია. რამდენიც უნდა უფრო წყალში ზეთს, მაინც ძირს არ წავა და ძალათ რომ დასწიო, ხელს როგორც გაუშვებ, მაშინვე თავზე მოიგდებს. მისი თანასწორი სტაქანი რომ აიღო, ერთი ზეთით გაავსო, მეორე წყლით და სასწორზე შესდო (სტაქნებიც ერთი წონისა უნდა იყოს), წყალი უეჭველათ დასძლევს. როცა ჰაერით საესე ბოთლს სულ წყალში ჩამოღავ და თავს აღმა უყობ, მაშინ სულ სხვაა. მაშინ წყალი უცბათ ჩავა ბოთლში და ჰაერი ბუშტებათ იწყებს ბოთლიდან ამოსვლას, სანამდის სულ არ ამოიკლება და იმის ადგილს წყალი არ დაიჭერს. არამც თუ ბოთლში, წვრილწვრილი წყალის ბუშტები რომ დარბიან წყალზე, იმაშიაც ჰაერია გამოხვეული. წყლის ქაფი ამ წვრილიანი ბუშტების გროვება, მეტი კი

არაფერი. ამათ ერთათ მოუფროვებით თავი და ყოველ მათგანში ჰაერია. ეს ბუშტები თანდათან სქდებიან და იმისთვის ქაფი ყოველთვის შიშინებს. მაგრამ ყოველნაირ წყლის ანუ ლეინის ბუშტებში ხომ მაინცა და მაინც ჰაერი არ არის. მაგალითად ჰივის ან მაქარს რომ მოხდი თავს, ქაფს მოკლებს შიშინათ; იმის ბუშტებში ჰაერის მაგივრათ ბული, ქოხი, ან ნ ა ხ შ ი რ - ძ მ ა რ ა ი არის გამოკრული. როცა ჰურს გააფუფუნებ, ეს გავი იმაშიაც ბუშტებს იკეთებს. თუ ჰაერი ბევრი არა აქვს ნარევი ამ ჰაერგვარში, არც კაცს და არც ცხოველს სუნთქვა არ შეუძლია, ცეცხლსაც იმ წამს აქრობს.

* *

ამ ჰ ა ე რ გ ვ ე ა რ ს მეცნიერებაში ეძახიან ნ ა ხ შ ი რ - ძ მ ა რ ა ს. ის ჰაერზე უფრო მძიმეა. ამისთვის, როცა სიმყუდროვეა და სიო არასითვან ჰქრის, მაშინ ეს ჰაერგვარი ჩამოდის ძირს, ეფინება მიწაზე, ისე რა გო რ ც წყალი ზეთს ქვეით დგება. მაგალითად, ზეთუნის ზეთით საესე დიდს ქოთანში რომ ორი სტაქანი ჩაედვით, ერთი წყლით საესე და მეორე ცარიელი, შეიძლება საესე სტაქანიდან იმე გადავსახათ წყალი ცარიელ სტაქანში, რომ წვეთი არსით გადიღაროს. რისთვის?—იმისთვის შეიძლება ჰაერში ერთი სტაქანიდან მეორე სტაქანში გადავსახათ ეს ნ ა ხ შ ი რ ძ მ ა რ ა, თუ ქარი არა ჰქრის. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ზეთში წყლის გადასხმას ერთი სტაქანიდან მეორე სტაქანში ცხადათ ხედავ და ნ ა ხ შ ი რ - ძ მ ა რ ა ს გადასხმას კი ვერა, ამისთვის რომ ეს ჰაერგვარი და ჩვენი ჰაერი იმდენათ გამსჭვებნი არიან, რომ ვერც ერთს ვერ ხედავ და თუ გინდა დარწმუნდე, ნახშირ-ძმარა გადასხმულია თუ არა მეორე სტაქანში, მოკიდებული კვარი ან სანთელი უნდა ჩასდო ერთშიაც და მეორეშიაც; საცა ალი უცბათ გაჰქრება, ნახშირ-ძმარაც იმაშია. ახლა ვიცით, რომს ჰ ა ე რ გ ვ ა რ ი ნ ა ხ შ ი რ - ძ მ ა რ ა ა და იმიტომაც უფრო ქვემო აღავს იჭერს. ის ზვეით მიწაზე ბევრი არაოდეს არ გროვდება, ამიტომ რომ ოდნა სიოც რომ ამოვარდეს, მაშინვე გაფანტავს. საცა ქარი თავის დღეში არ განძრევა, იქ სულ სხვაა; მაგალითად დახურულ ორმოგებში, ან მიგდებულ ქებში, რომელთაც აღარაინ ხმარობს, ან კლდის ქვა-

ბებში, ან ჩვენებურს დიდ ქვევრებში, საცა მაქარი ღულს და ლეინო დგება. ამისგანგებში ყველგან ბევრი გროვდება ამისთანა ჰაერგვარი. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან იმ ალაგებში ჰაერი არ შიდის და რადგან თვითონ ნახშირ-ძმარა უფრო მძიმეა, ძირს წვება და ზვეით ვერ ამოდის. ამიტომ ამისთანა ალაგებში წმინდაუხედავთ კაცი არ უნდა ჩაიდიდეს. ჰაერ უნდა ჩაუშვათ ან მოკიდებული სანთელი, ან კვარი. თუ ვაქრა, ეს ნიშნავს, რომ კაცს იქ სუნთქვა არ შეუძლია.

* *

ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ ბუნების სხეულებზე; ერთი სიტყვით ყველა ნივთებზე, რაც ღმერთს გაუჩენია. მაგრამ ღმერთმა ჩვენ კაცებს მოგვცა გონება, ჰკუა, რომ ვიცოდეთ, რა ნივთი როგორ გამოიყვენოთ, ამის ცოდნას სწავლა და შრომა უნდა. როცა რასმე ვისწავლით, ჩვენ იმ საქმეში დახელოვნებულნი შევიქნებით და დახელოვნებულნი თუ ვართ, მაშ ხ ე ლ ო ვ ე ბ ა ც ვ ი ც ი თ, ამასაც ვაუკეთებთ, იმასაც,—ერთი სიტყვით ვისაც რა ვისწავლია. რასაც ჩვენი შრომით ვაკეთებთ იმას სხეული ჰქვია, მაგრამ ამ სხეულს ნ ა ხ ე ლ ო ვ ე ბ ა ც ვ ი ც ე ლ ს ე ძ მ ა რ ა ს. მაგალითად; ქარი და ნაცარწმული ბუნებაში იბოვებიან; მაგრამ როცა ორივეს ერთად შევადლებთ და მართლსაც მიუმატებთ, ვაცოცების შემდეგ კეთდება საპონი. საპონი ხელოვნური სხეულია, რომელიც მოუგონებია კაცს თავის საჭიროებისთვის. ბუნებაში საპონი არსად არ იბოვება და ვარდგან ვერც შეატყობს კაცი, რისგან არის შემდგარი. ავიღოთ ქვიშა და ნაცარი; ესენიც აგრეთვე ბუნების სხეულები არიან; მაგრამ როდესაც მოხელე იმე ერთად შეადლებს და ცოტა კირსაც მიუმატებს, გამოდის საშუშე, ან საფანჯრე მინა და ბროლი; ეს მინაც ნახელოვნევი სხეულია, საცა ვეღარც ქვიშას, ვერც ნაცარს და ვერც კირს ვერ ვხედავს კაცი.

* *

ბევრია ისეთი ნახელოვნევი სხეული, რომელსაც მაშინვე ეტყობა, რისგანაც არის შემდგარი. ბამბა ბუნების სხეულია, მაგრამ ბამბის ძაფი და იმით მოქსოვილი წინდა ნახელოვნევი სხეულია. იმას ბამბის წინდობა ერთი შეხედვით შეეცობა. ხე ბუნების სხეული სტალი, ან ტაბაკი ნახელოვნევი სხეული მაგრამ ზედვე ეტყობა რისგანაც არიან ვაკე

თებულნი. ბუნების სხეულები ნახელოვნევი სხეულებისაგან უფრო იმითი განირჩევა, რომ ბუნების სხეულები ცხოვრობენ, ესე იგი იბადებიან, იზრდებიან, სკოცნებენ რამდენიც წესია და მერმე კვდებიან. მს ისე ახირებულათ უწესათ კი არ მოხდება; ამას თავისი რიგი და კანონი აქვს, რომელსაც თვითონ ბუნება მოითხოვს და აჩვენებს. მაგალითად კაცმა რაც უნდა ბევრი ეცადოს, აქლემზედ დიდი ვერ გაიზდება და ორას წელიწადს ვერ გასძლებს. — ამისთანა წესია ბუნებაში და ვერცარაინ შესცვლის ამას. ნახელოვნევი სხეულები არ იბადებიან, ვერც თავის მგზავს შობენ და არც კვდებიან.

* *

ჩვენ ახლა ვიცით, რომ ყოველს სხეულს რაც უნდა პაწაწა იყოს, თავისებური შედგენილობა აქვს. შედგენილობა სხვა-და-სხვა ნაირია სხეული ან თხელი ნივთისგან იქნება შემდგარი. როგორც წყალი, ან მაგარი ნივთისაგან და ან ჰაერ-მსგავსისაგან.

შედგენილობა ბევრნაირია და ამისთვის სხეული ან ერთგვარი შედგენილობისა, ან ბევრგვარია: ერთს ეძახიან მარტივს და მეორეს რთულს. მარტივს სხეულს იმიტომ ეძახიან რომ მარტო ერთგვარი ნაწილებისგან არის შემდგარი. რკინა, მაგალითად, მარტო რკინისგან შესდგება, სპილენძი სპილენძისაგან, გოგირდი—გოგირდისაგან და სხე. რთულს სხეულს იხიან არიან, რომელთაც შეერთული აქვთ სხვა და სხვა გვარის ნაწილები და ამით გაკეთებულია რთული სხეული. მაგალითად ჰაერი და წყალი ორ-ორი ჰაერგვარისგან არის შემდგარი, შაქარი და სახამებელი ორი ჰაერგვარისაგან და წმინდა ნახშირისაგან, რომელსაც სწავლულები ნახშირთა ვას ეძახიან, ზოგმა იქნება თქვას: ჰაერი რომ ჰაერგვარებისგან იყოს შემდგარი, ამას კიდევ გაიგებს კაცი, რადგან ერთმანეთს ჰგვანან—მაგრამ ეს როგორღა ვაიგოს კაცმა, რომ წყალი და სახამებელიც ჰაერგვარისგან არის შემდგარი, მაშინ როდესაც ამ ნივთებს კაცი სულაც ვერ ხედავს წყალში, როგორც ვერ ვხედავს თვითონ ჰაერს. აი, როგორ არის საქმე, როცა ორი, ან სამი ჰაერგვარი, რამდენსაც ბუნება ითხოვს, იმდენი შეერთდებიან ერთმანეთს, იმათგან კეთდება ახალი მაგარი, ან თხელი

სხეული. მაშინ ჰაერგვარები თითქოს საღვაც გადაიშალნენ და იმათგან სულ სხვა სხეული გაკეთდაო. ამისთანა საციერელი და გასაოცებელი კანონია ბუნებაში.

სამეცნიერო ნაწილი
წითელი

წითელა არის ისეთი ავთომყოფობა, რომელიც დაჰყრის წითლად ახალგაზდა ყმაწვილებს. ღიდებსაც დაეშართება, მაგრამ ძალიან ძვირათ. წითელიანს ტანზე რომ დააკვირდე, მენიშნავ პაწაწა წითელს ლაქებს ბალნების ძირში. ისინი ღომის კაკლის ოდენა არიან და შიგნით ქინძის თავის ოდნა პარკი აქვს გაკეთებული. სანამდის წითლად გამოფენდეს ტანზე, ჯერ სამი ღდის წინათ ცივებას დაწყებინებს და ყელი ეტკინება. ზოგს ამ დროს თვალების ტკივილიც აუტყდება. შემდეგ დაუწყებს წითლად გამოფენას ზეითა ტანადგან და თანდათან ძირს დაეშვება. მერე წითელი ფერი თან-და-თან ჰქრება და ბოლოს ავთომყოფის ქერტლები დაუწყებს ცვივებას მთელ ტანზე და აშინირთ კანი გასძვრება.

* *

როცა წითელა ადელი სახდელია, მაშინ კაცი შენიშნავს, რომ ეს ავთომყოფობა ოთხნაირათ იცვლება. პირველი ის დაწყება ყელის ტკივილით და აშინირ მდგომარებაში ავთომყოფი, სანამდის ცივებას დაწყებინებდეს; უფრო ხშირად ასე მოხდება, რომ ხან აცივებს, ხან სიცხეს აძლევს, ვიდრე გამოუჩნდებელი სიცხე არ მიეცემა. მერე თვალის ტკივილი აუტყდება, ცხვირიდან მუტუტი დაუწყებს დენას. ზოგჯერ ამ მუტუტს სისხლიც გამოერევა და ხშირად ცხვირს აცივინებს; ხმა ჩაუხჩება, ავთომყოფი ამბობს რომ ყელი მეწვისო. ღრმით ახველებს. მნა გაუთეთრდება, მად ეკარგება, წყურვილი აქვს, კარში მძიმეთ გაღის, ტანი დაუფიცხდება და ცხელი აქვს, შარდი მოშავო, ჩქარი და სუსტი მჯჯა. საღამოს ცივება უმატებს, ჩვეულებრივ მეორე დაბრუნებაზე უფრო მძიმეთ ეკიდება, მესამეთ კიდევ უფრო მძიმეთ. ხან-და-ხან, მეტი არ შეიძლება, ისე საშინლათ გაუძნდელიც ცივება, მაგრამ ბოდვას და მანჭვას ვერც ადვილათ არ დაწყებინებს. როცა მანჭვას დაწყებინებს, იმის შემდეგ ცივება სამ დღეს კიდევ

გასტანს. ზოგჯერ ხუთ დღემდისაც შეიძლება, მაგრამ ძალიან ძვირათ. მერე გამოჰყრის, შოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ რაკი წითელას ნიშნები გამოჩენია, ერთ დღეს იქით ტანზედაც გამოჰყრია.

* *

მეორე პირი ავთომყოფობის იწყება ექიდგან, როცა ტანზე წითლად გამოჰყრის. სანამდის ტანზე გამოჰყრდეს, ნახევარი ღდის წინათ სასამი და ცხვირის ნესტოებში მოაფენება წითელი ლაქები, სიდიდით ქინძისთავიდგან დაწყებული მუხუღოს მარცვლამდის. ამასთანავე ყელჭირება და ცივება უმატებს. ნერწყვი ბლომით სდის და ნაფხვენს მჭავე სუნი აქვს. ძანის ახურება და საზოგადოთ აღდევებული მდგომარეობა ავთომყოფისა ნიშნავს, რომ მალე გამოჰყრის. ჯერ აფუნთოტზე მუხუღოს პირიდგან დაიწყებს, მერე კისერზე, გულზე და ბოლოს მთელ ტანზე მოაფენება. წითელს ლაქი პირველათ ძალიან პაწაწა და მერე თან-და-თან იმატებს. როცა ხელს დაჰჭირება, სიწითლე გაქრება და როცა გაუშვებს, მაშინე გამოჩნდება. ძალიან დიდი ლაქები (ფორაჯები) გამოაფენება პირის სახეზე, რომელიც სულ ერთიანათ აწითლდება და ცოტათ კიდევ გაცივდება. ამ წითელ ლაქებზე კაცი არც ტკივილს გრძობს და არც ეფხვნება. ტანზე გამოჰყრა ზოგჯერ სამ დღესაც გასწევს და ამ დროს განმავლობაში ცივება და ყელჭირება მომეტებული აქვს ავთომყოფს.

* *

მესამე პირი ავთომყოფობისა რომ დადგება, მაშინ ყელჭირება და ცივება იკლებს, მაგრამ სულ კი არ გაივლიან. წითელას ლაქები სამი ღდის განმავლობაში მუღამ შეინიშნება. მერე კი ჰქრება იმავე წესით, როგორც გამოჰყრია. მეშვიდე და მერევე დღეს კანის სიწითლე სულ იკარგება. ამასთანავე პირის სახესაც და განსაკუთრებით თვლის უბებებს სიმსინე ეკარგება. თვალების ტკივილიც იკლებს. მელიც ისე მძიმეთ აღარ ტკივა და ნახველიც ამოსდის; ამისგამო დიდი შეღავათი ეძლევა ავთომყოფს.

* *

ამ დროსა ავთომყოფობა ჩადგება მეოთხე რიგში. ტანის კანი იწყებს კერტლებით ჩამოცივნებას. მს ქერტლები ისე წმინდათ სცივია, რომ კანის გამოცვლა სულ არ ეტყობა. ამასთანავე ბევრი ოფლის დენასაც დაუწყებს ავთ-

მყოფს და შარღშიაც მიწის ნალექსავეთ გა-
მოჩნდება, თვალის ტკივილი აღარ აქვს და
წახევილი ძალიან შეკრულია, ხანდახან ავათ-
მყოფი ხშირათ გადის კარში და ძალიან შე-
ლაფთასაც ჰგონობს. ეს პირი ავთმყოფობისა
შეიდი დღიდგან თითხმეტაჲდის გასტანს.

რ უ ს ე თ ი ს ა მ ბ ა ზ ი.

ამ უკანასკნელ წლებში მხენელ მთსველ
ხალხის ცხოვრება ძალიან გაჭირდა სმოლენსკის
გუბერნიის მიხსობაში რომ ნამუშევარი არ მო-
დის და შიმშილობისაგან ხალხი უბედურებაში
ვარდება. ამ მიზეზით საზოგადოება გულმხურ-
ვალედ ითხოვს ისეთი რამე საშუალება იხმა-
რონ, რომ მიწის მუშაობის გაუფჯობისობით
მუშა ხალხი იხსნან ცუდი მოსავლისაგან.
სმოლენსკის სამეურნეო საზოგადოებას რამდენ-
ჯერმე ჰქონდა ამ საქმეზე მოლაპარაკება.
იმან მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება
ღმობიტრიევის აზრსა. ეს კაცი ამბობს, რომ
ცუდი მოსავლობა ისეთი მიზეზებისაგან კი
არ არის, კაცმა ვერა მოუხერხოსნარაო. ამ
შემთხვევაში ჩვენი სოფლის მუშა ვერ იტყვი-
სო, რომ ეს წეთის ნებაა და კაცი ვერას გაა-
წყობსო, არა. ცუდი წლების დადგომა უფრო
იმის ბრალიაო, რომ ბატონებობის განთავი-
სუფლების შემდეგ ისე აირადირა ოჯახობის
საქმე, რომ ჯერაც ვერ დაწყობილაო. სოფ-
ლური ოჯახობა ჯერ კიდევ თავის წესზე ვერ
დამდგარაო, გლეხებმა არა იციან რა და არც
უნდათ ახალ წესზე გაიარონ, რადგან თვალ-
წინ არა აქვთ კარგი ჩასაგონებელი მაგალი-
თიო. ამისგანო მიწების უმეტეს ნაწილს ან
იმდენი ნამუშევარი არ მოჰყავთ, რამდენიც რი-
გია, ან და მუდამ უთავბოლო ხენა-თესვით
სულ გამოღვივით ნაყოფიერებო.

* *

სახაზინო ფერმები და სამეურნეო შკოლები
ვერ არიან ისეთები, რომ იქიდგან კარგათ დახე-
ლოვნებულნი და მიწის მუშაობაში კარგი ნას-
წელი კაცები გამოდიოდნო. ამისგანო
კარგი მიწის მომუშავეც ძვირია და მაგალითის
მარეწებელიც არა ეინა გვეყავო. მართა-
ვითი საშუალებაა, რომ ხალხში გადიდდეს
რიგიანი ცოდნა მიწის მუშაობისა, აი, ეს
საშუალება. მიმნაზიებში უნდა დაწყებინონ
მეურნეობის სწავლება და რამდენიმე სამა-
გალითო ფერმა გამართონ გუბერნიისაში. სა-

ზოგადოება სრულიად თანახმა გახდა უ. ღი-
მობიტრიევის აზრსა რომ ამ ყვამდ რუსეთში
ცუდათ მუშაობენ მიწას და საქორაო სამეუ-
ნეო ცოდნის გავრცელება ხალხში. ღმობი-
რიემა რომ ამ საქმეზე წერილი წარუდგინა
საზოგადოებას, იქიდგან გამოაკრიფეს უმთავ-
რესი აზრები და წარუდგინეს სმოლენსკის
გუბერნიის საერო კრებას (ზემსტეკს) ამ
თხოვნით: მთავრობას წარუდგინონ, რომ
საერო განათლების უწყებაში რაც შკოლე-
ბია, ყველგან დაწყებინონ სამეურნეო მეც-
ნიერების სწავლება.

* *

ამასთანავე საზოგადოებამ მიაქცია კრების
ყურადღება იმაზე, რომ ამ საქმეს წელიწად-
ში ას-ასი თუმნის მეტი არ მოუნდებო, ისიც
იმისთვის, რომ ენიციბაა ცუდი მოსავლის
წელი გამოვიდნო, ოჯახობას ფული ხელში
ჰქონდეს ზარალის ასადგენათ და სანაზღის
სულადი თავნი არ შეუტრებიო გაწყობილს
ოჯახობას.

* *

პირუტყვის შენებაზე სმოლენ-
სკის გუბერნიისაში. ამ გუბერნიისაში
პირუტყვი უბიათ შინ ზამთრით ექვსი თვის
განმავლობაში, ზოგჯერ შეიდ თევსაც. ზო-
გიერთი მეოჯახეები ხშირად ქერისა და დი-
კის ჩალით ცემავენ საქონელს, ხანდახან თი-
ვას და ბუკსაც აძლიევენ; ზოგი მეოჯახენი
თანასწორათ აძლიევენ თივას, ბუგს და ჩალას,
ხანდახან შერიასაც. სხვა და სხვა საბალახო-
ებსაც დიდი გავლენა აქვს პირუტყვის შენე-
ბაზე. ზოგიერთი მეოჯახე აშენებს სახლვარ-
გარეთის საქონლის გეარს და საცა კარგათ
უფლიან, კარგათც შენობს; მაგრამ საცა
პირუტყვი ჰეას ვერ იტანს, ან ცუდათ ჰყავთ
შენახული და ვერც იმის შესაფერი საბალა-
ხობია. იქ ეს ნაზი საქონლის გეარი მალე
სუსტდება და გადაგვარდება ხოლმე.

* *

ზლინკის და საბუნეივის ოჯახში აღდილო-
ბრიევი ჯიში საქონლისა სხვა ჯიშის საქო-
ნელზე ღარაუით კვადება. ამნაირათ საბუ-
ნიემა ისე გააკეთა თავის ჯოგი, რომ ბევ-
რსაც იწველიან, ბევრს ხორც აძლიევენ და
ტანმოზღაღებიც არიან. ზოგი ერთი ბულე-
ნი ბევრათ უფრო დიდები არიან მცირე რო-
სის ბულეზზე. ამ ჯოგის საქონელი უფრო
საკლავათ იყიდება. ზოგიერთი მეოჯახენი

ყიდულობენ მცირე-როსის ბაზრებში ხა-
რებს, ასუტებენ და მერე ჰქიფენ.

* *

ასუტებენ ამნაირათ: როდესაც მინდვრები-
დგან შინ მორაკენ საზამთროთ, რეა დღის
განმავლობაში აშკევენ კარგ თივას, ან სამე-
ყურას სამყოფად. მერე ზომით აძლიევენ შერიას,
ფქვილს. რასაკვირველია, ამნაირათ გასუტება
უფრო ძვირათ ღირს, ეინამც თხლეთი გასუ-
ტება, რომელიც არაფრათ ფასობს, საცა ბევრ
ოტკას ხლიან და იბით გასუტებულს საქო-
ნელს კი ისეთივე კარგი ხორცი აქვს, რო-
გორც ნამუშევრით გასუტებულსა. მაგრამ
ეინც თავდარიგინათ დიკერს საქმეს ნამუ-
შევრით გასუტებული საქონელიც კი აძლიევენ
მეოჯახეს მოგებას; ამას გარდა საქონლის
სასუტეც ცალკე რჩება ოჯახში.

* *

საზოგადოათ ოტკას-ხდა რომ კარგათ ვერ
მიდის ამ გუბერნიისაში, ეს ძალიან უჭირებს
საქმეს იქაურ მეოჯახეებს. მისაც აქვს ოტკის
ხანდლი მოწყობილობა გამართული, სამწუ-
ხაროთ კარგა მოხმარება რომ არ იციან, იმა-
თაც უჩივებს უნდა აძლიონ იჯარით. საზო-
გადოათ აი, რა უნდა ითქვას სმოლენსკის
უფლებში ოჯახობის შესახებ. ამ უფლებში ყო-
ველ გეარ ოჯახობებს იბოვით. ძალიან კარ-
გათ ნამართული ოჯახობაც არის, საცა აღ-
გილის შესაფერად საუკეთესო მიწის იარაღები
შემეილიო. ეს ოჯახობანი შეიძლებაოდენ სა-
მაგალითოდ დარჩენილ იყენენ სხვებისთვის
და სახაზინო ფერმების გაცემადა აღარც კი
იქნებოდა საქირო. მაგრამ სამწუხაროთ იქვე
იმის გვერდით შეიძლება კაცმა ნახოს არამც
თუ გლეხის; დიდი მებატონების ოჯახობანი,
სადაც ძველებურათ მამა-პაპურათ მიჰყავთ
ოჯახობის საქმე. შემეტვი ნაწილი გლეხები-
სა ურწმუნოთ უყურებენ ყოველახალ შემო-
ღებულს მუშაობას, ან უტხო ქვეყნიდგან
მოტანილს იარაღს; იმათ არ სჯერათ იმ ია-
რალის უკეთესობა. პრიან ზოგიერთი კარგა
განათლებულნი მიწის მომუშავენი, მაგრამ სა-
შუალება რომ არა აქვთ, ვერაფერში მოუ-
ხმარიათ ეს თავის სწავლა. ამისთვის საჭი-
როა სასოფლო შკოლები ხალხის გასანათ-
ლებლათ და საერო ბანკები აღმ-მიცემობის
ხელის გასამართავად და მიწის მომუშავე კა-
ციების შესაწყენელათ.

მატყლის სარეცხი შენობა ხარკოვის ქალაქში. ხარკოვში დიდხანა, რაც მატყლის სარეცხი შენობები გაუმართაეთ. ძველი კაცები ამბობენ, რომ ამ ორმოცდა ათი წლის წინათ ხარკოვში, რაც ახლას არის, იმაზე მეტი თუ არა ნაკლები შენობები აღარ ყოფილა. ახლა არის თერთმეტი შენობა და ამას რამდენი ხანა არც მოჰყვება და არც მომტებილა. შეველა მატყლის სარეცხებზე ზაფხულობით ას ოცდაათი ათასი ფუთი, ანუ სამი მილიონის ას ოცი ათასი მანეთის მატყლი გაირეცხება.

მუშები ზოგნი ქალაქის მცხოვრებნი არიან, ზოგნი გუბერნიის უფლებიდან მოდიან. მუშების რიცხვი ოთხი ათას კაცზე მეტია. შექმნილი ნაწილი ქალები არიან მუშებთ. ღღეში თითო ქალი ხუთშაურს იღებს. მატყლის გასრეცხათ და ქონის გასაცლელათ მწვანე თიხას ხმარობენ ხარკოვის მახლობლათ. შოველ წლობით ათას ხუთასი საყენი თიხა უნდება სარეცხებს და ეს მუშაობა ბევრს ქირას აძლევს. შოველ საყენ თიხაზე მეტრამე კაცი იღებს ექვს-შვიდ მანეთს. შოველ მეტრამეს თითო ურემ თიხაში ბაჟათ ართმევენ სამ კაციკს, რომელიც არის ქალაქის შემოსავალი. თიხას გარდა ნაცარწული და სოდა სჭირათ ასი თუმნისა. წყლის გასაცხელებლათ უნდება ოთხას ორმოცდა ათი საყენი შეშა. ზარეცხილი მატყლის გასახევეათ ას ორმოცი ათასი არშინი ხადაგი და ორასი ფუთი მკედი უნდება. ამ მასალებს სულ ხარკოვის გუბერნიის სოფლის ხალხი ამზადებს, და სულ იმათ მოგებათ რჩება.

ზაფხულზე ტიგების გასამართაეთ და შემოდგომაზე იმთ ასაღებთ რომ ვიანგარიშოთ ორასი თუმანი მუშების ქირა, ამასგარდა ასოცდა ათი ათასი ფუთი მატყლის გარეცხისათვის მარტო გუბერნიის მცხოვრებლების ქირათ იხარჯება ათასი თუმანი, სოფლის ხალხი ძალიან მადლიერია ამ შენობებისა, რადგან თავისუფალ დროს ხმარობს ფულის მოგებაში ამ მატყლის რეცხა იწყება მაშინ, როცა ხალხს მიწის მუშაობა ან მოღვეული აქვს, ან იმდროს არ არის.

— იაროსლავის გუბერნი. უწყებებში სწერია, რომ რიბინსკის უფლისწურ მომადგენელმა მოსტილეგმა წარსულ საერო ყრილობაში განაცხადა, ძალიან კარგი იქნებოდა დაგეგმვებისა ყოველ წლობით მამულის პატრონების ყრილობა რიბინსკის საერო გასამგებოსთან. ეს ყრილობა განიხილავდა და განსჯიდა საოჯახო საქმეებს ზემოხსენებული უფლისას. მოსტილეგის პროგრამით შეკრებილებაში უნდა ელაზარაქანთ: 1, ხენათესვის რიგზე; 2, მესლის მოცვლის რიგზე; 3, რა წესით უნდა მომკონ და მიიტანონ კალოზე პური და პურის გვარი მცენარეები? 4 შოველ გლეხის ადგილ-მამულზე რამდენი საქონელი ინახება? 5. მარტოელი მოდის თუ არა და რამდენი მოჰყავთ? 6, სამჯერ ცელიან თქელს სახნავე მიწებში თუ მეტჯერ? 7, რამდენი კაცი მიდის ალებ-მიცემობისთვის და ხელობისთვის, რამდენი რჩება ოჯახობის წასაყენათ და სასარგებლოა თუ არა ქირაზე წასვლა მცხოვრებლებისა? 8, ტყის გაკაფვის შემდეგ ნაფუჭრებს ხმარობენ თუ არა პურის მოსაყენათ? 9, სახლებს კანონისამებრ სდგენ თუ არა? 10, რა სარგებლობას აძლევს ტყე, ან მთელი ახლანდელი ოჯახობა მცხოვრებლებს? 11, აქეთ თუ არა სათევზოები და სადა? ბოლოს უ. მოსტილეგმა განაცხადა, რომ ყოველწლირი სამეურნეო საზოგადოება სახელმწიფო ქონების სამინისტროს მფარველობას ქვეშ იმყოფებოა.

უხსო მკვირის ამბავი

ამ უკანასკნელ დროში უხსო ქვეყნის გაზეთებში ბევრს სწერენ ახალ მცენარეზე, რომელიც კარგი ძაფის მომცემია. ამ მცენარეს სახლად რამიე ჰქვია, ჭინჭრის მოდგმისა არის და როგორც ამტკიცებენ ყველა მხარეში მოვა. ის მოჰყავთ იაეის კუნძულზე და ჩინეთის საზღვარზე. ამ ქვეყნებში ძლიან ხარობს და, როგორც მნახელნი ამტკიცებენ, ერთი საყენი სიმ-ღლე იხდებოა. ინგლისში ნახეარ საყენზე უშაღლესი ვერ გახარდეს.

რამიეს ძაფით მოქსოვილი სამოსელი საკვირველი ნაზი, წმინდა, ნაზი ბწყინვალე და მტათ მაგარი გამოდის. თურმე მკოდნე კაცები ბატისტის სამოსელში ვერ გაარჩევენ.

ამასთანავე რამიეს სამოსელი ბევრათ უფრო იაფათ ფასობს სელის ბატისტებზე. სიმამრთ ერთ ნახევრათ სჯობა სელისა და კანაფის ძაფს. ბევრათ უფრო დიდხანს სძლებს. ამას გარდა რამიეს ქსელის კეთებაზე უფრო ცოტა ძაფი ჰხდება, ვინამც კანაფისა და სელის კეთებაზე. ამის გამო წინათვე შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რამიეს მოყვანა ძალიან გაუმწდება მერობის ოჯახობაში.

იმის მოყვანას ბევრი წვალდება არ უნდა. მსუბუქი ნიადგი უნდა იყოს, ნაგავ-დაყრილი და ნაშიანი. შენიშნულია, რომ ჩრდილოში, ღობის ძირებზე და სახლის გვერდით უფრო ხარობს, ერთი სიტყვით იმისთანა ადგილებზე, საცა მოჭრილი ტოტები რომ დარგო, ადვილათ იკეთებენ ძირს. რამიეს გასაშენებლათ იმის ფესვებს ხლეჩენ და რაგვენ მიწაში ნახეარ საყენის სიშორეზე ერთმანეთთან. ღარგვის წინ მიწას დათობენ, ან დაბარგენ და ბალახის ძირებისაგან გაწმენდენ. ეს მცენარე ძალიან მალე იხდება. როცა კანი გაუშავდება, მაშინ უნდა დაჭრა და ქერქი შემოაიკლო. ღეროების გახმობამდის არ უნდა აცლო, თორემ ისე კარგი ძაფი არ გამოუთა.

მართი წლის განმავლობაში ოთხჯერ მოიჭრება ღერი. პირველ მოჭრაზე თითო ძირი აძლევს ოთხ ღერს, მეორე მოჭრაზე—რვას, მესამე მოჭრაზე—ათიდან თორმეტს, მეოთხე მოჭრაზე—თექვსმეტიდან ოც ძირამდის. შემდეგ წლებში ნაყოფიერება კიდევ უფრო მატულობს.

იმის ძაფების კეთება სელისა და კანაფის გვართ უნდა.

— შევიცარიის საქონლის მაშენებელი პროფესორი შტაცმანი ურჩევს იქაურ მთავრობას ყველის მაგიერთ ცნობა ამზადონ, ის სჯობია. საცა ყველის კეთება სხვა-და-სხვა მიზეზებით სჭირს, ან და ვერ გადის კარგათ იმიტომ რომ სხვა ადგილების ყველს უფრო ეტნებიან; რადგან სახელი აქეთ განთქმული, —იქებობს კეთება რომ შემოიღონ სხვა ქვეყნებში გასატანათ, ან თუ არა, შინ სახელმწიფოში სახმარებლათ მიიცი, კარგი იქნებაო. შტიცმანი ბევრათ ამჯობინებს ერბოს კეთებას ყველის კეთებაზე. 1, მრბოს კეთებას თავნი ფული ან სულ არა უნდა რა, და თუ უნდა,

ისი ძალიან ცოტა. 2, ალბ-მიცემობა იმითი უფრო ჩქარა მოხდება და სულ ნაღდათ. 3, მუკაცი თაღარავით შეუღდა საქმეს, ცოტას მეთებაც შეუღდა და ბევრისაც აგრეთვე მეთებაც შეუღდა და ბარათაც, ზამთარ და ზაფხულს. 4, მამედვა დიდი არა უნდა რა და სარგებლობას მალე ჰხედავს კაცი. 5, მარბოს კეთება და სწავლებაც ძალიან ადვილია. ამას გარდა ერბოს მორთმევის შემდგომ რომ რძე რჩება, იმითი შეიძლება მკლე ყველი აკეთონ შიგნი ქვეყანაში ერის სარჩენათ. შერბოვით შეიძლება გამოვიდეს კაცი, იმის მაგივრათ ღორის ქონი ან სხვა მცენარის ზეთები რომ იხმაროს, სრულიათ საკმაოა. ღარაც მხარეში ერბო გაკეთდება, ის კი სულ ერთიანთ ფულად იქცევა საზღვარ გარეთ.

* *

მ ერ ხ ვ ი ს ც ი ლ ა ქ ა ლ დ ლ ს ს ა კ ე თ ე ბ ლ ა თ. ნოვგოროდის გუბერნიაში ძრესტეცკის უეზლში არის ქარხანა გამართული, რომელიც ფხენის ევრხვის ცილას და ამზადებს ქაღალდისათვის. მაგრამ რადან ამ წმინდათ დახერხილს ცილას ბევრი სინოტივე აქვს და თუ ისე, ახმარა კაცმა, ადვილათ ფუედება, ამისთვის ჯერ წმინდა ევრხვის ნაფხენს საქარეში დებენ და აშრობენ. ამ გეარათ გაკეთებული ევრხვა გადის ფუთი მანეთ ნახევრათ საზღვარს გარეთ და რუსეთში. ამ ნაფხენს შეუტევენ ძონძში ერთად დაფხენიან და აკეთებენ ქაღალდს, რომელიც მეტად კარგი გამოდის. შერხვა არც საფიცრეთ ვარცა და შემათაც გამოუსადეგია, ამიტომ რომ ცოტა სიბობს აძლევს, მაგრამ რაღა ქაღალდის სახმარი შიქნა, ამის შემდეგ ევრხვის ტყეები დიდ სიმდიდრეთ გადაიქცევა რუსეთში. ჩვენშიც ბევრია ევრხვა და იმის დამფხენელ ქარხანას რომ ვინმე გამართედეს სარგებლობა ბევრი იქნება; ერთი საქერი ევრხვა ბევრი-ბევრი ხუთი ექვსი მანეთი ღირს და იმაში გამოდის სამოცო ფუთი ნაფხენი. შუთი რომ მანეთ ნახევრათ ჩევაღდოთ ესეც ექვსი მანეთის შემცხრა თქმანს აძლევს.

* *

ღ ა ო ბ ე ბ უ ლ ი პ უ რ ი თ თ ა ვ ი ს მ ო წ ა მ ლ ე ა. მრთ ნემციის ქურნალში აწეროლია შემდეგი ამბავი: „მრთი ოჯახობა მამა

დედა და ხუთი წლის ქალი ორი დღის ვადით გავიდენ სახლიდგან და როცა დაბრუნდენ, ნახეს განჯინაში იმთვან დადებულნი შვი გამომცხვარი პური, რომელსაც მწვანე ომი მოჰკიდებოდა. რადან მეტი არა ჰქონდათ რა და კიდევ შიოდათ, საწყალმა სახლობამ გააცალა ომი ამ პურს და ჰამა დაუწყო. ცოტა ხანს შემდეგ სამივეს მუცლის გერემა დაემართა, პირიდგან საქმება და მანქვა დაუწყო. იმთ კენესახე და ყვირილზე მოცინდნენ მებობლები, მოაყენეს ექიმი, მაგრამ სიკვდილისაგან მხოლოდ დედამა გადაარჩინა; ზაწა ქალი კი საშინელს წვალებში მოკვდა.

* *

— მრთს ნემციურს გავითში მოყენილია შენანიშნავი მაგალითი, რომელიც ცხადთ ამტკიცებს—თუ როგორ ინახავს სინოტიორს მიწაში ფოთლებით ტყე; ქ. მაღანსინისის სიახლოვს იყო ერთი დიდი უფის ტყე, რომელიშიაც აქა-იქ დამდგარიყო ტბები და ჰობები. ამ ტბებში და ჰობებში ბუღაბდნენ იხევი, ლალღები და სხვა წყლის ფრინველები რომელნიც ღარიბი მონადირეებისთვის ლუკმა-პურს შეადგენენ. 1846 წ. ამ ტყეში ასტრეს მუხა და მის მაგივრათ ღარგეს ფიჭვი, ნაძვი და სხვა მცენარეები, რომელთაც წერილი ნემციეთ ფოთლები აქვთ. რამდენსავე წლის შემდეგ, როცა ახალმა ტყემ გაიხარა, შენიშნეს, რომ ტბები და ჰობები თითქმის სრულებით დაშრენ და ამისგამო, რასაკვირველია, ფრინველებიც მალე გაჰკრენ.

* *

მატყლით მაჰრობა წარსულს წაღს.

ლივერტული (ინგლისის ქალაქი). წარსულს წელს ვინც კი მატყლი შემოიტანა ინგლისში ყველა ძალიან უკმაყოფილონი დარჩენ მატყლით ვაჭრობაზე. იმის სასოვ ქარხნებში მოკლე ბეწვიან მატყლს არაფრათ თხოულობდენ, ასე რომ თეთორ ინგლისური მატყლის ფასიც ძალიან დაეცა და ამის გამო ინდოეთიდგან შეიწერეს მატყლის შემოტანა. მძელ ბეწვიანი მატყლის ფასი იმდენათ არ დაეცხმლა, მაგრამ ვერც ის გადიოდა რიგინ ფასათ.

* *

საზოგადოთ რომ ეთქვათ, ძალიან ცუდათ იყიდებოდა სხვა ქვეყნიდგან, მაგალითად ამსტრალიიდგან, აფრიკიდგან და ამერიკიდგან მოტანილი მატყლები, ზოგმა ცხვრის მებატრინებმა ისეთი ზარალი ნახეს მატყლებ,

რომ საკლავთ გაყიდვა არჩიეს თავის ცხვრებისა, ვინამც მატყლისთვის შეეგება.

* *

ქველზე უფრო ფალობა ინდოეთის მატყლი. მაიყუდა კიდევ სამოცა თუთხმეტი ათასი ცალი, მაგრამ მერე უფრო აღარავინ თხოვდა და მაშინ ამ მატყლმაც უცხათ ფასზე დაიკლო. რუსეთის მატყლს თითქმის არც კი არავინ იღებდა. სწევნებ, ინდოეთის მატყლს გარდა, მევიპტის მატყლი უფრო გადიოდა, მაგრამ ბელოს იმისმა ფასმაც ისე დაისწია, და უყურადღებო შეიქნა, რომ არც კი არავინ კითხულობდა.

სახანრომ განცხადება.

მუთათისსი მოქალაქემ ბერო შურცხანნიძემ 28 აპრილს მისცა პოლიციაში განცხადება, რომ 14 აპრილს საბალახოზე ვამეგებულ ცხენი-დამეკარავო ნიშნები ამ ნაირი აქვს: სისვი ჩერქესული ცხენია, ზურგი ნატყენი აქვს უნაგრით და მარჯვენა უკანა ფეხზე დალი უფის.

მაღაქის პოლიცია უმორჩილესად სიხოვს კეთუნილ ალღავს და პირებს, მოსძებნონ შემოსხენებული ცხენი და თუ ნახეს, პოლიციაში წარმოადგინონ. 5 მაისს 1870 წელს.

* *

მზურგეთის უეზლში 29 აპრილს ნახეს გაქცეული ცხენი ამ ნიშნებისა; მოჭორებული ლურჯი ფერის არის, დაკოლილია, ტან-მარჩილი, შვი ფაფრანი, მოკლე კული აქვს, მარცხენა ყური გაჭრილი აქვს, მუბლზე თეთრი ნიკორა აზის, მარცხენა ბარძაყზე და ბეჭზე ამ ნაირი დალი უფის: O. O., სამი წლის არის, თუთხმეტ მანეთად დაფასებულა.

მზურგეთის უეზლის სამმართველო უცხადებს მცხოვრებლებს, რომ ცხენის პატრონი თუ გამოჩნდა, მოვიდეს და თან მოიტანოს რიგინი საბუთები, რომ ცხენი მართლა იმისია. 2 მაისს 1870 წელს.

* *

მზურგეთის უეზლის მცხოვრებლებს ახნაურს ივანე შტენტს და გლენს ბიტო მთავრთ-ქილაძეს ამ წლის მარტს დაეკარავთ ცხენები. ახნაური შტენტის ცხენია ულავი წითელი ფერისა. საშუალი ტანის, მთავაფარი ტანის ფერი აქვს, რვა წლის არის კიანზე და ფეხებზე თეთრი ლაქები აქვს, უკანა ბარძაყზე დალი უფის. მეორე მთავრთქილაძის ცხენი თეთრი ფერის არის, საშუალი ტანისა, ათი წლია სა მთავაფარი თითქმის ლურჯი ფერის აქვს, ცხაზე და ბარძაყზე დალი აქვს, უკანა ფეხზე ჩილი დახეთქილი აქვს.

მზურგეთის უეზლის სამმართველო გამოუცხადებს, რომ პოლიციურთა-და სხვა დაწესებულებათ, საცა გამოჩნდენ ეს ცხენები, უეზლის ნაჩლინეს აღმოაბონ 25 აპრილს 1870 წელს.